# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

| | |
|---|---|
| წლიურათ | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურათ | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 42

წელიწადი პირველი

1912

ოთხშაბათი, 14 ნოემბ.

რედაქცია მოთავსებულია **ქუთაისში,** ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).



ამა 1912 წ. 26 სეკტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

# ი მ ე რ ე თ ი

✦ (წელიწადი პირველი) ✦

**გაზეთის ფასი**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . | 4 აბაზი. |
| ცალკე ნუმერი . . | შაურათ. |

1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს მანეთნახევრათ. მაწავლებლებს და სოფლის მასწავლებლებს დაეთმობათ მანეთათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზი, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად. ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“

**Антону Михайловичу Хеладзе.**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



პაებზე დაფუძნებული ამხანაგობა

## ს. მ. კირაკოზოვის და ბ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მ ამავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ახარჩევი საქონელი: აბრეშუმ-ს, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

## დიდი სარჩევი:

პლიუშის, ველვეტის, საპნების, ნოხების, „დაროკის“, გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისათვის. სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

**მაღაზია და საწყობი სევსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.**

**რადგანაც** ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები **ქ. მოსკოვისა,** ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ. მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნაღდ ფასათ.

**ქუთაისის განყოფილება.**


ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო აცხადებს, რომ 10 ნოემბერს უეცრივ გადაიცვალა პატივცემული და მისი ძვირფასი წევრი

## სტეფანე შიოს ძე ძიმისტარაშვილი

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე, ხოლო გამოსვენება მოხდება 15 ნოემბერს, ხუთშაბათს $3^1/_2$ საათზ. ბინა—მესხეთის ქუჩა, შნეიდერის სახლი.

ქვრივი ეფროსინე (ჩონთო) ბეჟანის ასული ძიმისტარაშვილისა და შვილები მისი: შალვა, ნიკოლოზი და ნინო გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ—პირველი ძვირფასი მეუღლისა და დანარჩენი საყვარელი მამის

## სტეფანე შიოს ძის ძიმისტარაშვილის

უეცრათ გადაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება მოხდება 15 ნოემბერს ხუთშაბათს $3^1/_2$ საათზე, მესხეთის ქ., სახლი შნეიდერისა.


გაზეთი **იმერეთი** იყიდება მესხეთის ქ. მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

გაზეთი **ი მ ე რ ე თ ი** იყიდება ორპირის ქუჩაზე, მეთუნუქე ვანო ტორაძის სახელოსნოში. იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ. ძმ. ოცხელების შენობაში **ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში**, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კოსტიუმები 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; **კაცის, ქალისა და ბავშების** ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, **ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების** საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით; **კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. **სამუსიკო** იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა ამასთანავე **მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას**, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველ დღე.

**ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ.** პატივისცემით **ა. ახვლედიანი.**

პროვინციის მოვაჭრეთა საყურადღებოთ!

მანუფაქტურული საპარტიო სავაჭრო

## ამხ. „სამეგრელო“.

გაიხსნება 1 იანვრიდან 1913 წ. ქ. ქუთაისში, ვორონცოვის ქ., მურალოვის შენობა.

მიაქციეთ ყურადღება!

## გ. დ. კაჭკაჭოვის

ახლათ გაღებული ფართლეულის

## მ ა ღ ა ზ ი ა

ბულვარის პირდაპირ.

მიაქციეთ ყურადღება! მიაქციეთ ყურადღება!

მივიღეთ და ყოველ დღე ვღებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს“ შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ფასათ და უვაჭროთ,

განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსში 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

პარიზის ჭრა-კერვის კურსები

## ს. ა. ალიბეგოვისა

დილა-საღამოს საათის მაცადინობით ექვსი თვის განმავლობაში ათავებენ პ. პ.-კ. მთელ კურსს. კურსდამთავრებულთ ეძლევათ მოწმობა: მისამართი: ქუთაისი, ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლი, ნახვა შეიძლება 10—7 საათამდი.

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**აქიმი მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა.**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები, (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდაც შეიძლება სამ ნაწილათ. 3 მან. ხელის მოწერისთანავე 3 მ. ეკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 160 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10 პროცენტი დაეთმობა. გასაყიდათ წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში. წიგნის დაკვეთა შეიძლება: თფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, აქიმ მიხეილ გედევანიშვილთან და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში. თფილისში აგენტათ დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან. ფოთში—იოსია მეუნარგიასთან. სამტრედიაში—ი. სტურუასთან, სიღნაღში—აქ. ჯანდიერთან. სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. თელავში—თამარ აბაშიძის ასულთან. ხონში—ჭიჭინაძის მეუღ. ეფროსინესთან. ბაქოში—ილია აგლაძესთან. ოზურგეთში—აქ. დიმ. ერისთავთან. ერევანში—ელენე ვირსალაძესთან. ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—კალანდარაშვ. მეუღ. სოფიოსთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვ. ასულთან. ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოშტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთათ საკმარისია თვით ფოშტის კვიტანცია.


## განცხადება.

**დ. სამტრედიის** ვექილები ამით საყოველთაოთ აცხადებენ, რომ 17 ამა ნოემბრის, შუადღის 12 საათზე დანიშნულია ადგილობრივი საქალებო სკოლის შენობის დამთავრების **იჯარით გაცემა.** ხარჯთაღრიცხვა განსაზღვრულია 14,317 მან. 19 კ. ვაჭრობაში უფლების მისაღებათ წინდი 200 მან. წინდაწინ უნდა იქმეს წარდგენილი. ყოველი პირობის გაგება შეიძლება საზოგადოების ვექილებთან.


## ალექსანდრე კოსტავას

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსასხურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

## საჩქაროთ.

იაფათ იყიდება თფილისისა და კარლის ჩასახვევ ქუჩების კუთხეში კარგი სახლი. იკითხეთ სასტ. „იმპერიალში“ მე-8 №. ნესმაშნი.

**აქიმი** ვ. ს. ფეფინი ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა (ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს. გომბიტლის ქუჩა.

**აქიმი ი. ჩარექოვი.** დაბრუნდა აგარაკიდან და იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7. ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

## ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე გიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

**მასაჟით სამკურნალო კაბინეტი**

## მ. ბალანჩივაძისა.

გვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება. ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.

გენერლის ქუჩა აქიმი ს. დორთქიფანიძის სახლი.

**აქიმი** ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს.

თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** ი. ტოგონიძე იღებს შინაგან, ქალის სნეულებითა და საზებით ავათმყოფთ.

ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ, ჩილინგაროვის სახლებში.

## ქირავდება

ერთი ოთახი, თფილისის ქუჩაზე დეპუტატთა საკრებულოს გვერდით. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთის“ რედაქციაში.

**აქიმი.** ვ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადავიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. კზიკოვის სახლში.

# დ ღ ი უ რ ი.

ყირიმში მცხოვრებ მამადიანებს „რუსკოე სლოვოს“ რედაქციისათვის ბოიკოტი გამოუცხადებიათ. ამ ბოიკოტს რუსეთში მცხოვრები სხვა მამადიანებიც შეუერთდებიანო. მიზეზი ბოიკოტისა გაზეთის მიერ მამადიანების წინააღმდეგ არა ადამიანური გალაშქრებაო.

— ოსმალეთის ჯარში შავი ჭირი ძლიერდება.

— ჩეხებმა ომის წინააღმდეგ დემონსტრაცია გამართეს. გარეშე საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ რეზოლუცია გამოიტანეს.

— ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი თანახმაა, ალბანეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ დარჩეს.

— მონასტერთან ბრძოლის დროს სერბიელებმა 8000 კაცი დაკარგეს.

— ცნობაა—მონასტირთან ბრძოლაში მძიმეთ დაიჭრა სერბიის ტახტის მემკვიდრე არსენიო.

— ბულგარლებმა მალგალი და დედეაგაჩი აიღეს.

— ადრიანოპოლში შიმშილია, მცხოვრებლები გარბიან. გაქცეულებს ბულგარელები უკანვე აბრუნებენ.

— ჩატალჯში ათ ნოემბერს შეტაკება მოხდა. შეტაკება უმნიშვნელო იყო. ოსმალები ბულგარეთის ჯარს უნაყოფოთ უშენდენ ყუმბარებს.

— ადრიანოპოლიდან გამოქცეული ჯარისკაცები ამბობენ—ადრიანოპოლის მდგომარეობა უნუგეშოაო

— ხმები—სერბია სესხს იღებსო, სიმართლეს მოკლებულია.

— ბელგრადში მეფის სასახლის წინ აურაცხელი ხალხი შეიკრიბა, ხალხი ყვიროდა:—„ქივიო კრალი! ქივიო სერბია“!

— მეფემ ხალხს მადლობა უთხრა:—სერბიამ გაიმარჯვა, მაგრამ საქმე ჯერ არ დასრულებულაო.

— სერბიაში რუსეთის საელჩოს წინ ხალხი იკრიბება და—გაუმარჯოს რუსეთსო—ყვირის.

— სერბიის ჯარმა ოხრიდი უბრძოლველათ დაიჭირა.

— სალონიკის მუსულმანებმა სურვილი გამოსთქვეს—საბერძნეთის მთავრობას ემსახურონ.

— ქაირთან ახლოს ბერძნებმა გაიმარჯვეს. აქ ოსმალებს 1200 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. 5000 ოსმალო ტყვეთ წაასხეს.

— ბულგარეთის და ოსმალეთის დელეგატთა მოლაპარაკებამ ზავის შესახებ უნაყოფოთ ჩაიარა. ბულგარეთის პირობაზე ოსმალეთმა უარი სთქვა.

— ალბანეთის ტახტის მემკვიდრეთ ხონთქარის ბიძაშვილს პრინც აბდულმეჯიდას ასახელებენ.

— ბულგარლების გაზეთი „მირი“ სწერს—ჩვენი მიზანი ოსმალების ევროპიდან განდევნაა. თუ სტამბოლში შევედით, მაშინ ზავის შესახებ სხვა პირობებს წარვუდგენთ ოსმალეთსო.

— ოსმალეთი ბულგარეთის პირობაზე იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ადრიანოპოლს ხელს არ ახლებენ.

— ოსმალეთის ერთმა დიპლომატმა სთქვა—უფრო ადრე ხელებს მოვიჭრი, სანამ სამარცხვინო ზავის პირობებს ხელს მოვაწერო.

— ვანში, ადანში, მერსინში, დიარბექირში, ბითლისსა და ზეიტუნში სომხებს არბევენ.

— შავმთიელთა ჯარმა ხუთი დღით ბრძოლა შესწყვიტა.

— ვარშავის პოლიტეხნიკუმის სტუდენტებმა ავსტრიის საელჩოს წინ დემონსტრაცია გამართეს.

— ალბანელებმა საზონოვს დეპეშით მიმართეს:—თუ ჩვენი მშვიდობა გინდათ, ალბანეთის განაწილებას ნუ მოახდენთო.

## „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების.“

(იხ. „თემი“ № 97).

„თემი“ უპარტიო გაზეთიაო, პარტიათა გარეშე სდგასო, გვეფიცებიან მისი რედაქტორ-თანამშრომელნი. მაგრამ არა მჯერა: თავის თავს კარგათ ვერ იცნობენ. „თემი“ უპარტიო კი არ არის, უშინაარსო, უპრინციპო და უმიზნოა. „დღეს ერთი უნდა, ხვალე სხვაო“, ეს სიტყვები ამ გაზეთზეა გამოჭრილი.

რა მიზანს ემსახურება „თემი“? ამაზე რასაკვირველია, თვითონ „თემსაც არ შეუძლია მოგვცეს პასუხი. მაგალითად, ხსენებულ ნუმერში გაზეთი ამაოთ სცთილობს თავისი ვინაობა გამოარკვიოს.

მეთაური წერილის ავტორი გვეუბნება: „ჩვენ ყოველთვის გვხიბლავდა ცხოველ მყოფელი იდეალი—გვენახა „ჩვენი საქართველო სხვა ერთა შორის საკაცობრიო კულტურის სალაროში თავისი წვლილის შემტანი და შესაფერათ წარმატებულ-აყვავებულიო“. მაგრამ ყველა დამემოწმება, რომ ეს ბუნდოვანი წინადადება არაფერს არ არკვევს.

თანაუგრძნობენ თუ არა სოციალიზმს „თემის“ თანამშრომელნი? ამაზეც ვერაფერს ვიტყვით, რადგან გარკვევით არაფერს გვეუბნებიან? აღიარებენ თუ არა კადეტების პროგრამას? არც ეს ვიცით. უარყოფენ თუ არა საქართველოს ეროვნულ-ტერიატორიალურ ავტონომიას? ამ საკითხზეც ისე გაუგებრათ გვაძლევენ პასუხს, რომ შეუძლებელია, გარკვეული აზრი შევადგინოთ.

გულმოწყალე (?) ავტორი ვითომ ჩვენებურ „დასელებს“ იფარავს უსამართლო დევნისაგან და იძახის, ჩვენ, „თემის“ მწერლები (?), ფანატიკოსები არა ვართ, „დასელებს“ შინაურ მტრებათ არა ვთვლით, პირიქით მათთან ერთობა საჭიროთ მიგვაჩნიაო. და, რომ „დასელები“ ხალხის მარილი არიან, სხვათაშორის იქიდანაც ჩანს, რომ ქართველი ხალხი მთლად მათი მომხრეაო. ისინი თუ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას უარყოფენ, ეს დიდ ცოდვათ არ ჩაეთვლებათ, რადგან ეს უფრო „ტაქტიკის საქმეა, ვიდრე პრინციპისაო“. და „დასელები“ რომ „ჩვენზე უფრო მეტი მამულიშვილური გრძნობით არიან გამსჭვალული“, ამის დასამტკიცებლათ იმოწმებს მათი ბელადების „ნ.“ და „აკაკი ჩხენკელის“ ნაწერებს. შემდეგ ავტორი განაგრძობს: თუ „დასელები“ ავტონომიასა და ფედერაციას უარყოფენ, არც არაფერი ამას უშავს, რადგან „მათი ფიქრით“ ავტონომია მუშათა ინტერესებს ავნებსო. და, სოციალდემოკრატები რომ პრინციპიალურათ ავტონომიას აღიარებენ, ამას გაზ, „ნაჩალო“ მოწმობსო. დასასრულ ავტორი ესფერებს—ესდეკებთან შეთანხმებას ურჩევს და დამრიგებლის როლს კისრულობს.

მართალი მოგახსენოთ, ასე მოკლე წერილში ამდენი აბდა-უბდა ჩემს დღეში არ წამიკითხავს. უეჭველია რომ „თემს“ თვითონაც არ ესმის, რასაც ამბობს. ჯერ ერთი, ესდეკებმა რომ ავტონომიის საკითხი ისე ჩამოაქვეითეს, რომ უბრალო ტაქტიკის საკითხად გახადეს და პრინციპიალური მნიშვნელობა ჩამოაცალეს, ნუ თუ ეს ავტონომიის პრინციპიალურათ უარყოფა არ არის?! „თემს“ თუ ეს უბრალო, საანბანო ჭეშმარიტება ვერ გაუგია, რა ნება აქვს პოლიტიკაზე ხმა ამოიღოს და მეტიჩარა არამკითხე მეამბესავით რომელსამე პარტიას რჩევა-დარიგება შესთავაზოს!

მეორე ბ, „ნ.“ რომ ამტკიცებდა, საქართველო, როგორც ეკონომიური ერთეული“ აღარ არისო და ეთნოგრაფიულათ და გეოგრაფიულათ მოსპობის გზას ადგიაო, ნუთუ ესეც არაფერია?!

მესამე: ავტონომია და ფედერაცია რომ ამერიკისთვისა და შვეიცარიასთვის აღიარო, ეგ ვერაფერი მოქალაქური გამბედაობაა. და როდესაც საქართველოს ამ უფლების ღირსათ არა სთვლი, ცხადია, ეს პრინციპის უარყოფაა.

მეოთხე: ავტონომია, ე. ი. პოლიტიკური თვითმართველობა, რომ პოლიტიკური თავისუფლების ქვაკუთხედია და, მაშასადამე, მათთვისაც აუცილებელია; ვისაც ამ საანბანო ჭეშმარიტების გაგება არა სურს, იმას, ცხადია ვერაფერი გზითა ვერ მოარჯულებ და ვერ შეითანხმებ.

ყველაფერი, რაცა ვსთქვით, კაი ხანია, რაც გადაღეჭილ-გადაქექილ-გარჩეულია, მაგრამ რაც ამ ოცი წლის განმავლობაში ამ საკითხზე დაწერილა, მხოლოდ „თემის“ რედაქტორ-თანამშრომელთ გამოპარვიათ. უთუოდ ეძინათ.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით „გარიყული მასწავლებლის“ ლაყბობაც არ აღვნიშნო. „ლაყბობა მეთქი“ ვამბობ, რადგან მის წერილს ნატამალიც არ აქვს იმ მარილისა, რომელსაც „ჰიუმორს“ ეძახიან. ავტორს ჩემი სიყმაწვილე ხსოვნებია: მისი სიტყვით თურმე „მძიმე აზროვნობის ყმაწვილი“ ვიყავი. ეტყობა, ჩემი ხნის უნდა იყოს, და, უეჭველია, აწ ჭკუას ველარ ისწავლის. „ფერი ფერსაო და მადლი ღმერთსაო“, ნათქვამია, და „გარიყული მასწავლებელი“, რომ თავისი მჩატე აზროვნობით თავის რედაქტორს ემზგავსება, მისი უაზრო წილადობილასაგან ნათლად ჩანს. უბადრუკი! ჯერ იფიცავს, „ფრუიძისათვის“ მოლალატე არ მიწოდებიაო, და ამავე დროს მისი ღალატის დასამტკიცებლათ „იმ საპროტესტო წერილს იმოწმებს, რომელიც მისთვის ლ ილაშის, ორბელის, ცაგერის და ქყვიშის საზოგადოების რწმუნებულებს, ა. ქილვარიას, გ. ხევცურიანსა და ი. ბურჯალიანს, გამოუგზავნიათ „და რომლისაგანაც ჩანს, რომ ფრუიძეს დავალებული ქონდა ე. გეგეჭკორისთვის ჩაეგდო თეთრი და არა სხვისთვისო“, ბოლოს დასძენს: „რადგანაც ჩვენი გაზეთი შორსა სდგას საარჩევნო აგიტაციაზე და საკინკლაო საქმეებში არ ერევა, ამიტომ ამგვარ წერილებს იგი არა ბეჭდავსო“.

ვეჭვობ, ბ-ნო „გარიყულო“, თქვენი მჩატე აზროვნობის ამბავი რომ ვიცი, თქვენი გაზეთი კინკლაობისა და ჩხირკედელაობის მეტს აკეთებდეს რასმე. რაც შეეხება საპროტესტო წერილს ფრუიძის წინააღმდეგ, იმასაც იმდენივე ფასი აქვს, რამდენიც სხვა თქვენს საპროტესტო წერილებს. და განა გაზეთი, თუ ან თავის თავს ან სხვის პირადობას აფასებს, საპროტესტო წერილებმა უნდა აიყოლიოს?! მაშინ ხომ მას საკუთარი აზრი და მიმართულება აღარ ექნება, რადგან, დღეს რომ ერთი საპროტესტო წერილი აღმა აიყვანს, ხვალ სხვა საპროტესტო წერილი თავდაღმა დააქანებს. დიახ! რაც თქვენ აკაკის სახელის გარშემო ალიაქოთი ასტეხეთ და საპროტესტო წერილები ბეჭდეთ, დიდი სირცხვილი და თავის მოჭრა იყო თქვენთვის. მაგრამ გვიან-ღაა: თქვენს აზროვნობას (?) აწ ველარაფერი გამოასწორებს და, რაც უნდა დაიშავოთ, არ გაგვიკვირდება და ვიტყვით მხოლოდ: „კოკასა შიგან რაკა სდგას, იგივე წარმოსდინდების“.

ურო.

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

12 ნოემბერს ქალაქის საბჭოს კრება მოხდა. კრებაზე მსჯელობა ქონდათ სავარაუდო შემოსავლის მეხუთე პარაგრაფის შესახებ. უძრავი მამულებისაგან შემოსავალი ნავარაუდევია 137,793 მანეთი, სავაჭრო-სამრეწველო გადასახადებისაგან 30,000 მანეთი, სხვადასხვა გადასახადებისაგან 6000 მანეთი და ქალაქის მამულების და საიჯარო საქმეებისაგან 67,294 მანეთი.

ამავე სხდომაზე ქალაქის საბჭომ უყურადღებოთ დატოვი საფინანსო კომისიის დადგენილება საზოგადო სასწორის ბალახვანის ქუჩაზე „წყალთაშვაში“ გადატანის შესახებ.

✦ მიღებული იქნა საფინანსო კომისიის დადგენილება შესახებ იმისა, რომ ცხენებზე დაწესებულ გადასახადს მიუმატოს თითო მანეთი, კამეჩებზე ორი მანეთი, ხარებზე და სხვა ტვირთის მზიდველ საქონელზე თითო მანეთი, ე. ი. თითო ცხენზე უნდა დაწესდეს წლიურათ შვიდი მანეთი, კამეჩზე ექვსი მანეთი და ხარზე ხუთი მანეთი. უყურადღებოთ იქნა დატოვებული ყასბების თხოვნა ხორცის ნიხრის მომატების შესახებ.

✦ ქუთაისის ციხეში დატყვევებულ რამდენსამე კატორღელს მეფის მოადგილისათვის თხოვნით მიუმართავს, რომ მათ სურვილი აქვთ ბალკანეთის ომში მონაწილეობა მიიღონ და ქრისტიანებთან ერთად თავისუფლებისათვის სისხლი დაღვარონ.

✦ სოხუმში 4 ნოემბ. აკურთხეს საურთიერთო ნდობის ბანკის შენობა. შენობის კურთხევას დაესწრო ეპისკოპოზი ანდრია კრებულით. კურთხევის გათავების შემდეგ ეპისკოპოზმა მიმართა საზოგადოების წევრებს გრძნობიერი სიტყვით. საუცხოვო სიტყვა წარმოუთქვამს აგრეთვე გამგეობის თავჯდომარეს, ბ. ნ. თავდგირიძეს. საზოგადოებამ ფინანსთა მინისტრს დეპეში გაუგზავნა. ბევრი მისალოცი დეპეში მიუღიათ ამ დღეს სხვადასხვა ბანკებისა და საზოგადო მოღვაწეებისაგან.

✦ ბაგრატის ტაძრის დაცვის კომიტეტის წევრს ბ. ა. გორგაძეს მიუღია დეკანოზ. ერ. ვეფხვაძისაგან თორმეტი მანეთი; ეს ფული შეუწირავთ: დეკ. ვეფხვაძეს და ღვდ. ღ. რამნიშვილს თითო მანეთი; ორი მანეთი ლარიხევის კრებულს და თითო მანეთი—ზევისქვის, ნაკაბურის, ვაშლევის, წიფა-ფონის, ამაშუკეთის და სარგვეშის კრებულს; ვას. მასხულიასაგან მიუღია ხუთი მან.; ეს ფული შეეწირავთ: გ. გიგინეიშვილს, ე. სვანიშვილს, ი. ქყონიას, ე. ორაგველიძეს და ვ. ანთაძეს—თითო მანეთი ბ. გორგაძე კომიტეტის სახელით ყველას მადლობას სწირავს.

✦ ერევანში გადაცვლილა პედაგოგი ნ. მაჭავარიანი. ნ. მაჭავარიანი დიდხანს ქუთაისში მასწავლებლობდა და საზოგადოებაში სიყვარული ქონდა დამსახურებული.

✦ 11 ნოემბერს ბორჯომში მიწის ძვრა მომხთარა. მიწის ძვრა ორჯერ გამეორებულა. მეორეჯერ მიწის ძვრა ხუთ წამს გაგძელებულა.

✦ ბაქოს გუბერნატორს შვამდგომლობა აღუძრავს, რომ მომავალ წლის შემოდგომაზე ბაქოში გაიხსნას სამეურნეო შინა-მრეწველობის გამოფენა. ამ საქმის მოსაწყობათ ის საერობო თანხიდან ითხოვს 5000 მანეთს და მიწათმოქმედების მთავარი გამგეობიდან 7500 მანეთს.

✦ სოფ მაკვენეთში (გურია) პოლიციელებს და ყაჩაღებს შეტაკება მოსვლიათ. შეტაკების დროს ყაჩაღებს მოუკლავთ ორი დარაჯი. დაჭრილი დარაჯები იმ დღესვე ოზურგეთში ჩაუყვანიათ. მეორე დღეს პოლიციელებმა დააპატიმრეს ვახტანგ თიგანაძე ორი ქალიშვილით და მსხალაძე. ეჭვი აქვთ, რომ იმ დღეს ხსენებული ყაჩაღები ამ უკანასკნელისას სტუმრათ იყვენო.

✦ ილიას საღამო მოსკოვშიც გაუმართავთ. საღამო ორი ნაწილისაგან, სალიტერატურო და საკონცერტო განყოფილებისაგან შესდგებოდაო. გ. ვეშაპიძეს, ამირეჯიბს და ლაღიძეს ილიას შესახებ რიფერატი წაუკითხავთ; თამარ ძნელაძის ასულს და ოპერის არტისტს გიორგი ქარცივაძეს რამდენიმე ქართული ხმა უმღერიათ. ალ. ჯავახიშვილსაც სიტყვა უთქვამს და საღამოს მომწყობლებისათვის მადლობა გადაუხდია.

✦ ქუთაისის სატუსაღოში განუზრახავთ დაბიური, გასაგები ენით ტუსაღებისათვის ლექციების კითხვა. სატუსაღოს აქიმი თავისი სფეროდან უკითხავს ხოლმე ლექციებს, საღვთო წერილიდან ციხის მოძღვარი და ისტორიიდან სხვა საგნებიდანაც ერთ-ერთ პედაგოგის მოწვევით. კეთილი განზრახვაა ცოცხლათ დამარხულებისათვის ასეთი საქმე და ტუსაღნიც სიამოვნებით მიეგებენ ამ ამბავსაო.

✦ 12 ნოემბერს, ორპირის ქუჩაზე, ქაჯაიას დუქანში სპირიდონ თორთლაძემ, რაღაც ანგარიშების შესახებ უთანხმოების გამო, არტემ თავზაროვს მუცელში დანა ჩაარტყა. თავზაროვი საავადმყო დახმარებისათვის წაიყვანეს, მაგრამ ის მალე გადაიცვალა.

✦ ბალახვანის ქუჩის შეკეთება სულ მალე დასრულდება. გუშინ მოყრილ ქვიშას უკვე ტკეპნიდენ. კარგი იქნება სხვა ქუჩებსაც მიაქცევდენ ყურადღებას და ზამთრამდი შეაკეთებდენ.

✦ 8 ნოემბერს ღამით ეგნატე ნარსიას წისქვილში დაიკარგა დაახლოებით სამოც ფუთამდი სიმიდი და ფქვილი. პოლიციამ მოიყვანა მეორე დღეს მაძებარი ძაღლი, რომელიც გაუშვეს წისქვილიდან. ძაღლი გაყვა და მივიდა სტეფანე ფირავას სახლში, რომელსაც აღმოაჩნდა ათ ფუთამდი სიმიდი და ფქვილი; შემდეგ ძაღლი მივიდა იქვე ახლო ლუარსაბ უგულავას სახლში, რომელსაც აღმოაჩნდა ხუთ ფუთამდი ფქვილი. ორივე დააპატიმრეს. შეიპყრეს აგრეთვე ქვიტირელი მელიტონ ფანჯარაძე, რომელიც ქურდობაში გამოტყდა და სთქვა რომ მან მიყიდა ფქვილი და სიმიდი ფირაკასაც და უგულავასაც, რომელნიც თავდებ ქვეშ—გაათავისუფლეს.

✦ 23 ამა ნოემბერს გაირჩევა ფარნა გეგელიას საქმე; მას განიხილავს თფ. სამოსამართლო პალატა. ოლქის სასამართლოს განჩინების ძალით, მისჯილი ქონდა ორნახევარი წელიწადი პატიმართა რაზმი. პალატამ განჩინება, გააუქმა და შესცვალა ექვს წელიწად კატორღათ. 19 აგვისტოს 1911 წელს სენატმა ორივე განჩინება გააბათილა და ხელ-ახლა გარჩევა ისევ პალატის ახალ წევრებს მიანდო. ეს საქმე შვიდი წელიწადია წარმოებს, სამი წელიწადია, ციხეში ზის—გეგელია და არ დაბოლავდა. გეგელია სჩივის სენატში მთავრობის ბევრნაირ უკანონო მოქმედებაზე. გეგელიას ... იცავს ვოლოგდელი ნაფ. ვექილი ბ. ტრაბეზნიკოვი.

✦ თფ. სამოსამართლო პალატამ 9 ნოემბერს გაარჩია აპილაციური საქმე ქ-ბ ე. გუგუნავას ქალისა, რომელსაც ოლქის სასამართლოს მიერ მისჯილი ქონდა ხუთი წლის ციხე, თავისი სახლის ცეცხლის წაკიდებისათვის. პალატამ იგი სრულიად გაამართლა.

✦ სენაკის სამაზრო სატუსაღოდან ქ. საგუბერნიო სატუსაღოში გადმოიყვანეს ამასწინათ დაპატიმრებული სენაკის ფოშტის მოხელე გაბუჩია და კოკაია, რომელთაც სხვებთან ერთად ბრალდებათ ფოშტიდან ყალბი საბუთებით ფულების მიღების განზრახვა.

### მოწერილი ამბავი.

#### სოფ. განა (ზემო იმერეთი).

ეს სოფელი ასი კომლისაგან შესდგება. უმრავლესობა გლეხობაა. აქ ვერავითარ კულტურულ დაწესებულებას ვერ ნახავთ, რომ ხალხს განათლება მიაწოდოს, ამიტომ ხალხი გონებრივათ ძალიან ჩამორჩენილია; მართალია აქ დიდი ხანია არსებობს სამრევლო შკოლა, მაგრამ მისმა არსებობამ ხალხს სარგებლობა ვერ მოუტანა. ახალი მასწავლებელი, იმედია ჩვენი შკოლის საქმეს გააუმჯობესებს. შკოლის დაქვეითების მიზეზი ერთის მხრით ის არის, რომ კარგი მზრუნველი არ მოგვეძებნება; არ შეგვიძლია ადგილობრივი ღვდლის ამ საქმისადმი გულგრილობა არ აღვნიშნოთ.

#### სოფ. საჯილაო (ქვემო იმერეთი).

რთველი გათავდა. ცუდი ამინდების გამო, ბევრი გაჭირება გამოიარა ხალხმა.

მოსავალი, წინა წლებთან შედარებით წელს ძალიან ნაკლები იყო. ხალხის აზრით შიმშილი აუცილებელია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყმაწვილების დაუდევრობას საზღვარი არ აქვს. მთელ დროს ქეიფობასა და ჩხუბში ატარებენ. კორწილისთვის მზადების დროს გ. შუბლაძეს ხუთი წლის ბავშვი ურემმა გაუსრისა.

# ილიას საღამო ქართულ გიმნაზიაში.

კვირას, 11 ნოემბერს ქართული გიმნაზიის დარბაზში გაიმართა ი. ჭავჭავაძის სახსოვრათ სალიტერატურო საღამო. მოწაფის ეპიტაშვილის მიერ საგანგებოთ დახატული დიდი სურათი ილიასი საუცხოოთ იყო მორთული ცოცხალი ყვავილებითა და გვირგვინებით. ვრცელი და შინაარსიანი პროგრამა მშვენივრათ შეასრულეს მოწაფეებმა.—ფარდა რომ აიხადა, VI და VIII კლასის სამმა მოწაფემ წაიკითხა მიმართვა ილიასადმი: შემდეგ VIII კლასის მოწაფემ წაიკითხა ვრცელი რეფერატი: „ქართველი ერი და ილია ჭავჭავაძე“. გიმნაზიის მგალობელთა გუნდმა ბ. ნ. შარაშიძის ხელმძღვანელობით და სიმებიანმა ორკესტრმა ბ. ას. კვაჭანტირაძის ლოტბარობით საუცხოვოთ შეასრულეს რამდენიმე ნუმერი, „თამარ ცბიერიდან“ და სხვ. წაიკითხეს ილიას ნაწარმოებიდან საუკეთესო ლექსები; აგრეთვე ლექსები დ. მეგრელისა, ი. ევდოშვილისა, ა. შანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილისა, ილიას გამო დაწერილნი. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს პატარა მკითხველებმა გრძნობიერი კითხვით. ქართულს გარდა რუსულათ წაიკითხეს ტბარჟევსკისაგან ნათარგმნი ილიას „პოეტი“, „ელეგია“ და „მას შემდეგ, რაც მე შენდამი“... საღამოს დაესწრენ გიმნაზიის გამგე კომიტეტის წევრები; სხვათაშორის— იშვიათი სტუმარი—მწერალი ბ. ანტონ ფურცელაძე. როგორც მოწაფეები, აგრეთვე მოწვეულნი პირნიც ძლიერ ნასიამოვნები დარჩენ; საერთო აღტაცება შესაფერ შეგნებას უკავშირდებოდა.—დიახ, როგორც მგოსანმა სთქვა: „სიკვდილით ბოდავ ცხოვრებასო“, სწორეთ ასე—დიდებული ილიას ტრაღიკული სიკვდილი საფუძვლათ დაედო ჩვენი ცხოვრების განახლებას, განახლებული ეროვნული ძალის შეტანას ჩვენს ცხოვრებაში; ეს ძალა თანდათან ვითარდება, როგორც საზოგადოებაში, ისე მოსწავლე ახალგაზდობაშიც. და იმ მოწაფეს, რომელმაც თავის ლექსში სთქვა: „მთა-ბარს მოედო ხმა შესაზარი; „მოკლეს ილია, მოკლეს ილიაო“, მე, იმ საღამოს დამსწრე, ასე გადავასწორებდი: „მთა-ბარს ედება ხმა სანეტარო: აღსდგა ილია, აღსდგა ილია“!

დამსწრე.

## ზოგიერთი სულიერი მამის „მოღვაწეობა“.

ვინ არ იცის, რომ სახალხო მასწავლებელნი, ეს მომავალ მოქალაქეთა აღმზრდელნი, თვით უუფლებონი და უმწეო მდგომარეობაში არიან. მას „ყველა თავში უჩაჩქუნებს, გარეშე შინაური“ და მის დამცირებასა და შევიწროებას ცდილობს. უნუგეშოა საზოგადოთ მასწავლებლის, ამ დაუფასებელი მუშაკის მდგომარეობა. მაგრამ ყველაზე უფრო დაბალ დონეთ მიჩნეული და აბუჩათ აგდებული სამრევლო შკოლის მასწავლებელია. აქ სხვა ათას უფროსებთან ერთად მისი განუკითხავი ბატონი და ბრძანებელი მამა ძიგრაშვილები და ვასილ ჩხიკვაძეები არიან. ესენი სულთამხუთავ მაჯლაჯუნასავით თავს დაწოლიან ხოლმე ხალხის განათლების დიად საქმეს და თავიანთ წვრილმან ანგარიშების გამო მის წარმატებასა და წინსვლას აფერხებენ. ზოგიერთი სულიერი მამები, ამა ქვეყნის მარილნი, ხალხში სათნოებისა, მშვიდობისა და სინათლის ნაცვლად, შფოთსა და ბოროტებას სთესენ.

ამას წინათ გაზ. „დილა“ ცნობას იძლეოდა, რომ მამა ვასილ ჩხიკვაძის თავგასული და შეუფერებელ მოქმედებას გლეხები მოთმინებიდან გამოუყვანია და მთავრობისათვის მისი სოფლიდან გაძევება მოუთხოვიათ. ეს ის ჩხიკვაძე გახლავთ, რომელიც „კოლხიდის“ № 52 ცნობით, სოფ. დვალიშვილების სამრევლო შკოლას და მის მასწავლებელს სულს ხთის და მოსვენებას არ აძლევს. ბოლოს, როგორც იქნა, მთავრობამ მისი საგმირო საქმეების გამოძიება ღვ. გიორგი ტყეშელაშვილს მიანდო. მაგრამ ამ გამოძიების შემდეგაც, მოლოდინის წინააღმდეგ, ბ-ნი ჩხიკვაძე კვლავინდებურათ ძველ ადგილზე ფარფაშობს და გლეხების გონების მცირე ოდენა სინათლის შუქით განათლებას ხელს უშლის.

ჩვენ გვიკვირს და ვერ აგვიხსნია გამოძიების ასეთი შედეგი. ნუთუ ყველა ის საჩივარი, რომელიც მამა ჩხიკვაძის წინააღმდეგ იყო აღძრული, უსამართლო და უსაფუძვლო იყო! უმორჩილესად ვთხოვთ ღვ. გიორგი ტყეშელაშვილს აგვიხსნას და გაგვიმარტოს რა მოხდა და ჩვენი აღშფოთებული სინიდისი დაამშვიდოს.

თუ რამდენათ ხელს უშლის ბ-ნი ჩხიკვაძე ხალხში სწავლის გავრცელებას, ამის საილიუსტრაციოთ მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს. წასულ სეკტემბერში სამრევლო შკოლების მეთვალყურეს მიუნდვია მასწავლებელ გ. ხ—ძისათვის დვალიშვილების შკოლის შესახებ ცნობის შეკრება და, თუ მოსახერხებელი იქნებოდა, ახლად დახურული შკოლის კვლავ გახსნა. ღვდ. ჩხიკვაძე შკოლის გახსნის წინააღმდეგი ყოფილა და ეს მაზრის მეთვალყურისათვის უცნობებია, თან მასწავლებელ გ. ხ—ძის, ვითომ როგორც არა საიმედო პირს, ადმინისტრაციისთვის გადაცემა მოუთხოვია. ეპარქიალურ საბჭოს ჩხიკვაძის ასეთი შეუფერებელი მოხსენება უყურადღებოთ დაუტოვებია და დაკეტილი შკოლა მაინც გაუხსნია.

შეიძლება ბ-ნი ტყეშელაშვილი გამოძიების დროს სიბრალულისა და კაცთ მოყვარეობის გრძნობით ხელმძღვანელობდა, როდესაც ღვდ. ჩხიკვაძე უდანაშაულოთ გამოყავდა. მაგრამ ეს ხომ აშკარა უსამართლობაა, რომ ერთსა და ისიც ჩხიკვაძისთანა ადამიანს სხვერპლათ მთელი სოფელი და მისი გლეხობა მივუტანოთ. ასეთი პირების ხელის დაფარება დანაშაულია, რადგან სხვებიც, მისი მზგავსნი, ამით წათამამდებიან და აქეთ „ნაყოფიერად“ სამოქმედოთ ფრთებს შეისხამენ.

აქაური გლეხი.

## ბუნების შეცთომა.

(თავისუფალი თარგმანი).

ირანის დიდ-მბრძანებელს, ზორაბ რუსტამ-შახს, შუაღამისას გამოეღვიძა, რადგანაც იგრძნო, რომ თითქოს რაღაცამ უკბინა მუხლზე, რომლის ფხანაც დაიწყო.—„ნეტავი ვინ გაბედა ასეთი თავხედობა?—გაიფიქრა ზორაბ-როსტამმა,—რწყილები და სხვ. მისგვარი მწერები დიდიხანია, რაც სასახლეში მოსპობილია; ბაღლინჯოები მიჩნეილი არიან საპყრობილეებში დამნაშავეთა დასასჯელათ... და ვილას უნდა ეკბინა ირანის, ისეთი ბრძანებლისათვის, რომელიც თვით ყველასა კბენდა და აზრშიც კი არ გაივლებდა, თუ ვინმე სამაგიეროს გადუხდიდა!“.

ზორაბმა დაკრა რამდენჯერმე ტაში და მისს საწოლ ოთახში შემოიჭრა ორი მორივი საჭურისი შანდლებით ხელში.

— დაალვიძეთ სასახლეში ყველა, სასტიკათ გაჩხრიკეთ ჩემი სარეცელი და უსათუოდ მიპოვეთ ის თავხედი ქმნილება, რომელმაც გაბედა ეკბინა თქვენი მბრძანებლისათვის,—შესძახა რიხიანი ხმით შახმა.

სასახლეში ყველგან დიდი ალიაქოთი ატყდა. აენთო მრავალი სანათები, შექნა ფაცა-ფუცი და ჩხრეკა.

ზორაბ-როსტამი კი ფეხ-მორთხმით ხალიჩაზე იჯდა და იმის ფიქრში იყო, თუ მის მხლებელთაგანს ვის ერგებოდა წილათ თავის მოკვეთა და ვის კიდევ პალოზე ჩამოცმა შახის სარეცლის ასეთი ამაშფოთებელი უყურადღებობისათვის.

ძებნა დიდხანს არ დაჭირდათ: ათიოდე წუთს შემდეგ ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა, ორი მუთაქის შუა ამოაჩინა ერთი მრგვალი და მოზდილი ბაღლინჯო, რომელიც ტიკჭორასავით გაბერილიყო შახის კეთილშობილური სისხლით.

ბაღლინჯოს მაშინათვე გადუწყვიტეს დაწვით სიკვდილი და ამასთანავე ზორაბ-როსტამმა შემდეგი ბძანება გასცა; პალოებზე ჩამოეცვათ ორი საჭურისი; ოთხი ფარეშისათვის თავები დაეყრევინებიათ და ბაღლინჯოიან საპყრობილეში სიკვდილამდი ჩაემწყვდიათ თვის შვიდსს ცოლთაგან ის ერთი, რომელზეც გუმანი ქონდა, რომ ბაღლინჯო იმას შემოყვებოდა წემს საწოლშიო. ბაღლინჯოს აღმომჩენი ახალგაზდა კი დაინიშნა შახის პოლიციის უმფროსათ.

ასეთ მართალ და ბრძნულ სამართალს შემდეგ, შახი კვლავ ლოგინზე წამოწვა, მაგრამ ძილი აღარ ეკარებოდა. ამიტომ ბძანა და მოიხმო სასახლის ბრძენი—მოხუცებულო მოლა-ჰასანი.

— ჩამოჯექ ჩემ ფეხთით და რამე მიამბე!—უბრძანა შახმა მოხუცს მოლას.

მოლამ ხელი ჩამოისვა და გაისწორა ჭაღარა წვერი და მოყვა ზორაბ-როსტამ შახის წინაპართა საგმირო საქმის გადმოცემას.

— შეჩერდი!—გააწყვეტია ირანის მბძანებელმა.—ჯერ ერთი ეს მითხარ, რა არის ბაღლინჯო და რისთვის არსებობს იგი?

— დიდ არს ალაჰი! დიდ არს აგრეთვე მბძანებელი ირანისა—უბძანესი, უბრწყინვალესი და უგულადესი ზოორაბ-როსტამი!—დაიწყო მოლამ.—მოწყალე ალაჰისაგან გაჩენილ ქვეყანაზე ყოველივე ღირსეულ წესრიგზეა მოწყობილი. არ არის პატარა ბილიკიც, ისეთი მტვერის ნატამალიც კი, რომელთაც ბუნებაში არა ქონდეთ თვისი ადგილი და დანიშნულება: ნამით დასველებული მტვერი ასაზრდოებს მწერს, მწერი-ფრინველს და ფრინველი კიდევ ადამიანს. დანამული მტვერი ასაზრდოებს ბალახს, ბალახი—ცხვარს და ცხვარი—ადამიანს. ამგვარათ დიდო-მბძანებელო, თუ დააკვირდებით, თქვენის ბედნიერის თვალით, დაინახავთ, რომ ალაჰს ქვეყანაზე ყოველივე იმგვარათ მოუგვარებია, რომ ასაზრდოვოს გვირგვინი თვის ქმნილებათა შორის—ე. ი. ადამიანი. ადამიანი კიდევ იმიტომ გაჩენილა, რომ ემოს და ასაზრდოვოს თვისი მბრძანებელი შაჰები და მათ შორის ყველაზე უდიდესი ზოორაბ-როსტამ-შაჰი, რომლის ბრწყინვალების წინაშეც კი ქრება თვით მზის ელვარებაც! ქვეყანაზე არაფერია უადგილო და უსარგებლო ყოველივე იმიტომაა გაჩენილი, რომ ქება-დიდება მიეძღვნას ზენას და სამსახური ჩვენს შაჰს.

— მაშ ქმნილებათაგან ყველა ერთიმეორეს სჭამს?

— დიახ, ბძანებელო! მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველთვის მძლავრნი და ღონიერნი სჭამენ ხოლმე სუსტსა და უღონოს და ვინაიდან ადამიანი ყველა ქმნილებაზე ღონიერი, იგი სჭამს ყველა დანარჩენს და თვით კი არსებობს, რომ ემსახუროს თვის ბძანებელს და ამ სამსახურით ადიდოს თვით ალაჰი!..

— მაშ აგრე! ეგ გვარიანი ბრძნული მოსაზრებაა—დაეთანხმა შაჰი, და ცოტა ფიქრს შემდეგ კიდევ შეეკითხა:—ბაღლინჯოს ვინღა სჭამს?

მოლა-ჰასა ხალიჩაზე შეიშმუშნა.

— ბაღლინჯოს, ბძანებელო... არავინ... არა სჭამს- იმას ისეთი ცუდი სუნი ასდის. რომ იგი ეზიზღება ფრინველებსაც... თევზსაც... ყველას... ბაღლინჯო ერთად-ერთი ქმნილებაა ქვეყანაზე, რომელსაც არავინა სჭამს.

— ეგ კარგი და თვით ბაღლინჯო ვილასა სჭამს?—შეეკითხა შაჰი.

— ადამიანს!

— ადამიანს?—გაბოროტებით შეეკითხა შაჰი და, ნაკბენ ადგილის მოფხანით, გაიფიქრა. „და თვით შაჰსაც კი!“ ამ ფიქრმა იმდენათ შეაშფოთა, რომ იგი წამოიჭრა.

— მაშასადამე ბაღლინჯო ყოფილა ქმნილებათა გვირგვინი!? თუ კი ყოველივე არსებობს ადამიანის საზდოთ და ადამიანი კიდევ—ბაღლიჯოსი, მაშ... რას გაჩუმებულხარ. საზიზღარო, მიპასუხე!—განრისხებით შესძახა შაჰმა.

— რას, მბძანებელო!—ჩიფჩიფით მოახსენა მოხუცმა მოლამ.—ბაღლინჯო... რაღაც მოუსაზრისათ წარმოშობილა ქვეყნიერების გაჩენის დროს!.. ბაღლინჯო.. ეს შეცთომაა ბუნებისა... და აკი იმიტომაც იგი ეშურება გაასწოროს ეგ შეცთომა!

— როგორ?—შეეკითხა შაჰი.

— ბაღლინჯო, ბძანებელო, გადაგვარება-ამოწყვეტის გზას არის დამდგარი! პირველათ, ისტორიულ ხანის წინათ, ბაღლინჯო დიდი თოხლის ოდენა იყო და ძალ ღონითაც ზორბა ხარს ედრებოდა. მაგრამ გაჩენითგანვე მოშვებულს, ზანტს, არა სწადდა არაფრის გაკეთება; თავის ბინაზეც კი არა ზრუნავდა. ის შეძვრებოდა ხოლმე პირველსავე გამოქვაბულში და მყრალი და სუნაგი იქიდან უდარაჯებდა ხოლმე თავის სხვერპლს. როცა კი ამ გამოქვაბულის წინ ადამიანი გაივლიდა, მსწრაფლ გამოვარდებოდა ბაღლინჯო, შემოახვევდა თათებს და უკანასკნელს სისხლის წვეთსაც კი გამოსწოვდა? შემდეგ, სისხლით დამთვრალი, კვლავ გამოქვაბულშივე შეძვრებოდა, ეძლეოდა ხანგრძლივ ძილს და თვის გარშემო ავრცელებდა ისეთ საძაგელ სუნს, რომელსაც გაურბოდა ყოველი ნადირი. და ამ განცალკევებულს, უშიშრათ მყოფს, მუქთა ხორას ეძინა იმ დრომდი, ვიდრე არ მოშივდებოდა.

— კარგი და ადამიანებს ხომ შეეძლოთ ერთმანეთი გეეფრთხილებით და იმ გამოქვაბულის ახლოს არ გეევლოთ?

— ეგრეც იქცეოდენ, მბძანებელო! მაგრამ ბაღლინჯოს შეუძლია უსაზრდოოთ გასძლოს სამ წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში კი გაფრთხილებას ივიწყებდენ და ახალი სხვერპლი უვარდებოდა ბაღლინჯოს ხელში. მაგრამ ბუნებამ, ბრძენმა ბუნებამ, გადაწყვიტა დაესაჯა იგი სიზარმაცე-მუქთახორობისათვის. ბაღლინჯო თანდათან პატარავდებოდა, ილეოდა და ბოლოს შემცირდა ახლანდელ ზომამდი ე. ი. ბელურას თვალის ოდნამდი, თუმცა იმან შეინარჩუნა თვისი ძველი თვისებები: ე. ი. სამი წლის განმავლობაში უსარდოოთ გაძლება, საძაგელი სიმყრალე, რომლის გამოც არც ერთი ქმნილება იმას პირს არ აკარებს და სიხარბე კაცის სისხლისადმი. მაგრამ კიდევ გაივლის რამდენიმე საუკუნე და მთლათ გადაგვარდება ბაღლინჯო და მოისპობა ეს ქვეყნიერების გაჩენის დროს ბუნებისგან ჩადენილი შეცთომა.

შაჰი ჩაფიქრდა.

— მაშ ვიღასათვის იარსებებს მაშინ ადამიანი? — შეეკითხა იგი.—შენ ხომა სთქვი, რომ ყველა ქნილება ვისმესათვის საზრდოთ არსებობს! მაშინ ვიღასთვის იარსებებს ადამიანი?

— იმისათვის, ო-ო, უბრძენესო, უდიდებულესო და უგულადესო ზოორაბ-როსტამ შაჰ, რომ განუწყვეტლათ ადიდოს და ემსახუროს თვის ბძანებელს!—უპასუხა მოლა ჰასანმა.

— ჰმ?—ჩაფიქრდა შაჰი.—შენს სიტყვებში ბევრი სიმართლეა და იმიტომაც მიბძანდი ბაღლინჯოიან საპყრობილეში და სიკვდილამდი იქ გაატარე შენი დღენი! ჩემს მოსაზრება-ანგარიშს არ ევუება, რომ ბაღლინჯოები მთლად გადაგვარდენ.

ზ. ა—ციხელი.

## ომი ბალკანეთზე.

ოტომანის სააგენტომ შემდეგი ოფიციალური ცნობები გამოაქვეყნა: ბულგარეთის პრეზიდენტ მინისტრმა პორტას სამშვიდობო პირობები გადასცა, პორტამ იმის მიღება შეუძლებლათ სცნო და უარყო, თან გენერალი სიუმს ნაზიმ-ფაშას დაავალა ზავის შესაძლებელ პირობებზე მოლაპარაკება ექონიოსო ბულგარეთის რწმუნებულებთან და შემდეგ პორტას გადასცეს იგი.

ბრძანება გასცეს, ღვთის შემწეობით ომი განაგრძონ, ს...მ წინადადება ზავის შესახებ უფრო ზომიერ პირობებში არ მოხთებაო.

როგორც ბერლინიდან იუწყებიან აქოური ოსმლეთის ელჩი ნაზიმ-ფაშა დროებ. თ დელეგატათ მიიწვიეს სტამბოლში, რათა სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს.

გაზეთი „Berl Gac—Anzeider“ თანამშრომელთან ბაასის დროს ოსმალეთის დიპლომატმა სთქვა: უფრო მალე ხელებს მოვიჭრი სანამ დამამცირებელ ზავის პირობებს ხელს მოვაწერ. ჩატალჯის პოზიციების აღებაზე ლაპარაკიც კი მეტია. ამ სიმაგრეზეა დაყრდნობილი ოსმალეთის უკანასკნელი იმედები და თუ ბულგარეთი ამ ჩატალჯის პოზიციის კაპიტულიზაციას დააწევა, მოლაპარაკება ჩაიშლებაო.

ბალკანეთის ერთმა სახელმწიფოს ელჩმა, ბერლინელ კორესპონდენტთან ბაასის დროს, პესიმისტურათ შემდეგი განაცხადა: ოსმალების თვით რწმენა იქამდი დიდია, რომ ისინი სკუტარის, ადრიანოპოლის და იანინის დათმობას და ჩატალჯის პოზიციების კაპიტულიზაციაზე არ დასთანხმდებიან. პორტას გეგმა ასეთია მას უნდა მოლაპარაკებით დრო მოიგოს და ჩატალჯის პოზიციები ახალი ძალებით გაამაგროს. მე ვფიქრობ ოსმალეთი მოძველებულ სტატუსკვოს წამოაყენებს და მოლაპარაკებას კომედიათ გადააქცევს.

მოკავშირეების პირობების უარისყოფა, ბრძოლის გაძლიერებას გამოიწვევსო.

ავსტრიის განზრახვაა პროხასკასთან მომხთარ ელჩის ინცინდენტს ხორცი შეასხას. ინცედენტის გამოძიების დროს ავსტრია სერბიის მხრით სრულ დაკმაყოფილებას მოითხოვსო.

ბერლინში დარწმუნებული არიან, რომ სერბიის დათმობას, პროხასკასთან ინციდენტში, მდგომარეობის მწვავე ხასიათის შემსუბუქება მოყვება., რაც უნდა მოხთეს, ომი სერბიასა და ავსტრიას შორის წარმოუდგენელიაო.

ახალმა ხმებმა ავსტრიის ჯარის მობილიზაციის შესახებ, ვენის ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ფასი ...სცა.

ვენის გაზეთი ... სარწმუნო წყაროებიდან ამტკიცებს, რომ რუსეთ-ავსტრიას შორის არსებული პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდაო. საზონოვის რწმუნება რუსეთის მშვიდობის მოყვარეობაზე მყვირალა სიტყვებათ დარჩაო.

გაზეთი ამტკიცებს, რომ რუსეთის ელჩს გარტვიგს ბელგრადში დიდი გავლენა აქვს და სერბიას ავსტრიის წინააღმდეგ აქეზებსო. ამიტომაც, სერბიის ჯიუტობის მიზეზი ცხადია. ბელგრადში კი არა პეტერბურგშია ავსტრიის პოლიტიკის მტერებიო.

გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა, გატონიდან ალბანელ ნაციონალისტების დეპეში მიიღო.

ვესტონში სხდომაზე ალბანეთის ყველა სარწმუნოების წარმომადგენლები ვიმედობთ, რომ რუსეთი ნებას არ მისცემს სახელმწიფოებს ალბანეთი დაანაწილონ და ამით მოსალოდნელ სისხლის ღვრას ალბანეთსა და მის დამპყრობელთა შორის აქიდანვე მოსპობსო.

რუსეთის დიპლომატია, თუმცა თანაუგრძნობს ალბანელებს, მაგრამ მათი საბოლოო აზრი ალბანეთის შესახებ ჯერ არ გამორკვეულა. ალბანეთის საკითხისადმი რუსეთის დამოკიდებულება კონფერენციაზე გადაწყდება.

ჩატალჯი. ომის შესახებ ოსმალეთის მთავარ ბინიდან იტყობინებიან: ბულგარეთის სამხრეთმა ფრთამ ბიუკ-ჩეკმეჯი დაიკავა. ოსმალეთის ფლოტსთან არტილერიის მკაცრ ბრძოლაში, ბულგარეთის არტილერიამ მეწამულ ზღვასა დაპლანეის შორის ოსმალეთის ყველა იერიში უკუაქციეს. ცენტრი არ მოქმედებს; ოსმალეთის ძლიერი რეზერვები ართერგარდში იმყოფებიან.

ფიქრობენ ბულგარელები ქალაქის აღებას შეუდგებიანო.

ბულგარელებმა ეგეის ზღვაზე ოსმალეთის უკანასკნელი ნავსადგური დედეაგაჩი აიღეს. რკინის გზა დედე-აგაჩსა და დიმოტიკ შუა ბულგარელების ხელშია.

## თეატრი და ხელოვნება

კვირას, 11 ნოემბერს ჩვენმა დასმა ორი პიესა წარმოადგინა: პოლ ჟეროლდისორ 2 მოქმედებიანი დრამა —„სისხლის ლაქა“ და აზიანის—„გაცრუებული იმედი“. უკანასკნელი მხიარული კომედია მხიარულათა და მოხდენილათ ითამაშეს და „სისხლის ლაქას“ გამო დაღვრემილი და ძარღვებ აწეული საზოგადოება გაამხიარულა. „სისხლის ლაქა“ მართლაც რომ ზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე. პიესა პატარაა, ორ მოქმედებიანი, სულ ოთხი კაცია მომქმედი პირი, მაგრამ მაყურებელი დიდი და მაგარი ძარღვების პატრონი უნდა იყოს, რომ მან გავლენა არ მოახდინოს, არ აგაშფოთოს სულით. ცოლი და ქმარია. ქმარი სამსხურის კაცია—მრალმდებელი. ნიჭიერი კაცი, სასტიკი, მსჯული, მჭერმეტყველი; ბევრი გაისტუმრა საიქიოს, ბევრი ჩაიგდო სიკვდილით მისი წყალობით და დღესაც გილიოტინაზე თავი უნდა მოკვეთონ ერთს ბრალდებულს. ქმარი იქ არის, ცოლი შინ და ძარღვებ აშლილი მოელის ქმარს. დიდ ლოდინს შემდეგ ქმარიც მოდის, მაგრამ აქ უცნაური რამ ხდება. ცოლი შენიშნავს თითქმის ქმრის პერანგზე სისხლის ლაქა იყოს, იმ წარმოდგენით, რომ იმის გარს ბევრ დასჯილთა სისხლში ურევია ხელი და ჰკუიდან შეცთება. მაგრამ გამოცდილი და გონიერი აქიმი ფსიქიატრი მცირე ხნის განმავლობაში განკურნავს ქალს და ახლა უნდა იგი ქმარს ჩააბაროს, და უბედურობაც ის არის, რომ ცოლი კი განიკურნა, მაგრამ, სანამ ცოლს არჩენდა აქიმი, ქმარს აშლია ძარღვები. გამხთარა, გამოცვლილა არეულათ ელაპარაკება აქიმს, რომელთანაც მივიდა განკურნებული ცოლის წამოსაყვანათ. აქიმი თითქოს ახერხებს, რომ ცალკ-ცალკე ორივეს გონება მოუკრიბოს, არიგებს, ასწავლის და ცოლ-ქმრის პირველი შეხვედრაც მშვიდობით ჩაიარს, ცოლის მხრით მაინც, როლიც ლაქას აღარ ამჩნევს ქმრის პერანგზე; ამბოას ეს წარმოდგენაყოფილა თურმეო და გახარებული გავა ოთახში, რომ მოეწყოს და ქმარს გაყვეს. ამ დროს ქმარი არეულათ ეუბნება აქიას,—ლაქა მე აქა მაქვს შიგნით, გადიღეღს მკერდს, უჩვენებს გულზე,—აქიმო, ამომჭერი ეს ლაქაო. აქიმი ახლა მიხვდება, ქმრის ავათმყოფობას და უნდა ცოლი აღარ შემოუშვას ამ ოთახში; სწორეთ მაშინ დროს იშოვის ქმარი და ნეშტარს დაირტყამს გულში, სადაც მას ლაქა ეგულება.

ნ. ჩხეიძის ასულმა და ა. იმედაშვილმა საუცხოვოთ და უნაკლულოთ აასრულეს ცოლისა და ქმრის როლები... პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გარდა სიბრალულისა ვერას გამოვსთქვამ იმ ჩვენი საზოგადოების მიმართ, რომელიც ამ წარმოდგენას არ დაესწრო. ხალხი ცოტა იყო ამ დღეს თეატრში.

ბატონებო! მეტი ყურადღება, მეტი სიყვარული ამ დიდ საქმეს, რომ შრომის ხალისი არ წავართვათ იმათ, ვინც მისთვის იღწვიან. კვირაში ერთ დღეს ნუ დაიშურებთ წვლილის გაღებას დიდი ეროვნული საქმისათვის...

**დ. ახალი-სენაკი.** 3 ნოემბერს ადგილობრივ საკრებულო დარბაზში სცენის მოყვარეებმა გამართეს რუსულ-ქართული წარმოდგენა. რომელსაც ხალხი ბლომათ დაესწრო. წარმოადგინეს მგოსანი აკაკის „ბუტიაობა“ 1 მოქმ. ვოდევილი და რუსულ ენაზე 1 მოქმ. ვოდევილი „მანია გროსი“ ქართულმა წარმოდგენამ ძლიერ სუსტათ ჩაიარა, მიუხედავათ იმისა რომ ადგილობრივი სცენის მოყვარენი ეროთ თვეს ემზადებოდენ ამ ვოდევილისთვის.

ათი წელიწადი იქნება, რაც ახალ-სენაკში არსებობს სცენა, სადაც დროგამოშვებით თამაშობდენ, როგორც ადგილობრივი სცენის მოყვარეები, ისე ჩვენი საუკეთესო მსახიობნიც. თუ უწინ თამაშობა არ უვარგოდა ჩვენს სცენის მოყვარეებს, სამაგიეროთ როლი კარგათ იცოდენ. ეხლა კი ერთშიაც და მეორეშიც ძალზე მოიკოჭლებდენ. რომ სულ არ გაჩერებულიყვენ სცენაზე რაღაცას ლუდლუდებდენ სუფლიორის მდგომარეობა ჯოჯოხეთური იყო.

ნეტავი შეისმენდენ ჩვენი სცენის მოყვარეები თავიანთ მოვალეობას? ასანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი ერთდროს კარგ-სცენის მოყვარეთ ითვლებოდა, მაგრამ ახლა რაღაც მიზეზების გამო თავი მიანებეს როლების სწავლას. საჭიროა აწი მაინც გონს მოვიდენ და მეტი პატივისცემით მოეპყრან საზოგადოებას თუ მოკიდებენ სერიოზულათ საქმეს ხელს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი სცენის მოყვარენი საშუალო პიესებს კი დასძლევენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ზარმაცობას თავს დაანებებენ და დააკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნილებას.

სხვათაშორის არ შემიძლია არ ვუსაყვედურო ზოგიერთ ჩვენს პედაგოგებს გულგრილობა საზოგადო საქმეებისადმი.

როგორც გავიგეთ აქ, ახალ-სენაკში რამდენსამე ახალგაზდას განუზრახავს დრამატიული წრის დაარსება. კარგი იქნება, თუ საზოგადოება ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობა ამ სიმპატიურ განზრახვას.

მთვარე.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანისა ჭურჭლეული; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, ვერცხლის ჭურჭელი გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და ნიკელისაგან; ჩანგლები, დანები, კოვზები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე სხვა ნივთ- ვერცხლნარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. კედლის და სპირალიანი ...ები, სა სუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და ყოველგვარი სარკეები ... კობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

სავაჭრო სახლი **გ. გოკიელის ძმ-ეზი** სავაჭრო სახლი

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო

**საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,**

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით **ფასები დაუკლო.** ეს ფასი, რომელიც ხელმისაწვდომია და იაფია, კარგათ იცის ქუთაისის საზოგადოებამ.

## ზემო-იმერეთი.

**დ. ჩხარი.** ჩხარის საბოქაულოს სამხრეთის ნაწილს შეადგენს ბარის სოფლები. მიწა ამ სოფლებში ნაყოფიერია, რის გამოც მუშის შრომა სათანადოთ დაჯილდოებულია.

სამაგიეროთ ჩრდილოეთის ნაწილში მიწის ნიადაგიც იმდენათ უნაყოფოა, რომ მუშაკის შრომას რიგიანათ ვერ აჯილდოებს. სამაგიეროთ აქ ბევრია ხე-ტყე, რომელსაც მცხოვრებლები სჭრიან და გადააქვთ სამხრეთის ნაწილში, სადაც იგი კაი ფასათ იყიდება. აღებული ფულით უმთავრესათ პირნახულს ყიდულობენ და დანაკლისს ივსებენ.

ამნაირათ, ამ ორ მხარეს შუა მუდმივი აღებ-მიცემობაა, რომელიც უმთავრესათ დაბა ჩხარში წარმოებს.

მდებარეობაც ამ დაბას სწორეთ შესაფერი აქვს: იგი არის გაშენებული სწორეთ იქ, სადაც თავდება მთა-გორები და იწყება ბარის ადგილები.

ეს დაბაც ამ შინაურული აღებ-მიცემობის წყალობითაა, რომ არსებობს. კარგი იქნებოდა თვით დაბის მცხოვრებთათვის, რომ აქ აღებ-მიცემობის საქმე რიგიანათ ყოფილიყო დაყენებული, მაგრამ საუბედუროთ ჩვენდა მთელ დაბას არა აქვს ერთი ისეთი მოედანი, სადაც შეიძლებოდეს ტვირთიანი ურმების გაჩერება.

არც ამ ორი მხრის შემაერთებელი გზების შეკეთებას აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება. მცხოვრებლებს აწვევენ და აკეთებინებენ ისეთ გზებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ადმინისტრატიული მოსაზრებით, და სასოფლო თუ სამეზობლო გზებში კაცს ვერ გაუვლია.

**ემანუილ.**

## ქვემო-იმერეთი.

**დიდი-ჯიხაიში.** დიდი ხანია მას აქით, რაც ერთ ჩემ წერილში შევეხე ჩვენს დაბაში გახშირებულ არღნების ჭყვირილსა და უგზოობას. ადგილობრივ მამასახლისს საყვედურს ვეუბნებოდი ყველა ამისთვის, რადგან ის, ასე თუ ისე გაგებული კაცია, მეტის გაკეთება შეუძლია და მეტიც მოეთხოვება-მეთქი. ამაზე წინათ თვით მამასახლისმაც ამოიღო ხმა და დამტკიცებას, საბუთებს მთხოვდა. მართალია, დამიგვიანდა, მარა შეცოდებაზე მითითება გვიან არაოდეს არაა. არღნების მოხშირების ამბავი, იმ მასწავლებელს კითხეთ, ბატ. მამასახლისო, რომელმაც თხოვნით მოგმართათ, —შკოლაში მეცადინეობას გვიშლის არღნების ხმაურობაო. მეორე მასწ. ლ. დ. ინციდენტიც გაიხსენეთ.. რაც შეეხება გზებს, სოფელში დიდი გზის გარდა სხვაც არის, სადაც ცხენი და კაცი ვიფლობით და ვერ გაგვიირია, არც ხიდებია იქ და არც საცალფეხო გასამშრალებელი. რა გზაა ახალი ეკლესიისკენ მიმავალი გზა, ან ლექავებში... არაფერი საპირადო ანგარიში არავისთან არ გველაპარაკებს ჩვენ. თუ ვამბობთ რამეს, იმიტომ მხოლოდ რომ სოფელს მეტი ყურადღება უნდა და ვწუხვართ, რომ ვისაც შეუძლია რამის გაკეთება, თავს არ იტკივებს.

**ვალა.**

## მევენახეების საყურადღებოთ.

მომეცა შემთხვევა, მოვაგონო ჩვენ მევენახეებს ჩემი წერილები სახელდათ „ეროვნულ რუპესტრისს“, ამ წერილებისათვის ნამყენი ვაზებით მოვაჭრეებმა ბეჭვდით თუ სიტყვით მრავალი ლანძღვა გინება მომიძღვნეს, როგორ თუ შენ სახელს უხთენ ჩვენ დამასახელებელ-გამამდიდრებელ რუპესტრისო. მართლა, რომ რუპესტრი ვაზების დამყნელებისათვის სიმდიდრეა, მასზე ნამყენი თითქმის სულ ხ:რობს და კარგათაც ეხორცება, რიპარიაზე კი მხოლოდ მესამედი და ისიც ნაკლებათ ეხორცება, თუმცა უკანასკნელი, ყურძნის სიმრავლისა, სიმწიფისა და სხვა კარგი თვისებისათვის ბევრათ სჯობია პირველს. ახლა, გაზეთ „იმერეთში“ № 37 მევენახე ტიებოც პირდაპირ ურჩევს მევენახეებს რუპესტრიზე დამყნილი ვაზები არ დარგოთ, თვარა იზარალებთო.

**რაფიელ ჩიხლაძე.**

### წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

გთხოვთ უმორჩილესათ თქვენს პატივცემულ გაზეთის უახლოებელეს ნუმერში დაუთმოთ ადგილი შემდეგს: ამა წლის მარიობისთვის 25, დაბა ზესტაფონში, საკრებულო დარბაზში, საქველმოქმედო მიზნით, გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის გამგეებათ იყვენ პატივცემულნი ბ.ბ. ვანო და კალენიკე საყვარელიძეები, მხოლოდ დახლიდრათ კი-ბ. ბიკტორ საყვარელიძე, რომელსაც წარმოდგენის წმინდ შემოსავალი 48 მან. დღემდისაც არ წარმოუდგენია. მე როგორც ინიციატორი ხსენებული წარმოდგენისა, იძულებული ვარ თქვენი გაზეთის საშვალებით მოვთხოვო მას, რომ ეს ფული წარმოადგინოს, რათა მას თავისი დანიშნულება მივუჩინოთ.

**შ. ს.**

### ღ ი ა ბ ა რ ა თ ი.

ბატ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს გაზეთში, ფართლეულობის მოვაჭრე ძმ. გელაშვილების მიმართ.

ბ. სვიმონ და ბეგლარ! რადგანაც მე თქვენთან ვერას გავხთი, ვერც შუამავალი კაცით, ვერც პირადი მუდარით,ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სამართალში. თუ თქვენ ამ წინადადებაზე არ დასთანხმდებით, მაშინ იცოდეთ მე საზოგადოების წინაშე ვალი მოხთილი მექნება და სრული უფლება მექნება მივიქცე იქ, სადაც ადგილია. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ: ფარნაოზ ბექანის-ძეს გაბუნიას და გერასიმე მოსეს-ძეს ტერაქელოვს ამ წერილის დაბეჭვდიდან გაძლევთ ხუთი დღის ვადას.

**თადეოზ გაბრიელის-ძე ბალანჩივაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში.
ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები, მუსიკალური საქონელი, საქსოვი და საკერავი მანქანები, ველოსიპედები და მათი მოწყობილობა. ბა, ყიდვა შეიძლება, როგორც ნაღდზე, ისე ნისიათ, (თვიური შემოტანით). ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

**ძმ. ჩარექოვის საამხანაგო საფუტკრე,**

რომელიც იმყოფება საბარგო სადგურის პირდაპირ მიაწოდებს მსურველთ ნამდვილ ბუნებრივსა და სურნელოვან ღია ფერის თაფლს, ვისაც რამდენს მოისურვებს, გირვანქას 5 შაურათ.

17 ნოემბრიდან ქ. ქუთაისში გამოვა ყოველ კვირული სამეურნეო და საზოგადო ჟურნალი

**სასოფლო გაზეთი.**

ჟურნალის მიზანია ემსახუროს ჩვენი სოფლის ნივთიერ, კულტურულ და გონებრივ აღორძინებას.

**ჟურნალი ღირს:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | — | 4 მან. |
| ნახევარი | — | 2 „ |
| 3 თვით | — | 1 „ |
| ერთი თვით | — | 2 აბაზი |
| ცალკე ნუმერი | — | 2 შაური |
| საზღვარგარეთ ორჯერ მეტი. | | |

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში ის კეიცარიძესთან, მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და სამეურნეო შკოლაში. თფილისში წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, ბათომში „განთიადში“. გიორგი მახარაძესთან. ფოთში ჟურნალ გაზეთების შკაფში სიმ. ორაგველიძესთან. ოზურგეთში წიგნის მაღაზიაში მ. თალაკვაძესთან. ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან. ლანჩხუთში ვარლამ კალანდაძესთან. ჭყუმათში ვასილ მასხულიასთან. სამტრედიაში ისიდორე სტურუასთან და წ. კ. გ. საზ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ზესტაფონში წ კ. განყ. წიგნის მაღაზიაში პლატონ კიკნაველიძესთან. გორში არ. კალანდაძესთან. ხაშურში პირველ კლასის ბუფეტში ვ. რ. ჩიქოვანთან და ს. ყაჭეიშვილთან, წიგნის მაღაზიაში. ჭიათურაში ივანე ზომელაურთან და „ჩვენს ოჯახში“, საჩხერეში აქიმს ჩოლოშვილთან.

**ადრესი წერილებისა და ფულისათვის:** ქუთაისი, სამეურნეო შკოლა „სასოფლო გაზეთისათვის“.

რედაქტორ-გამომცემელნი: პ. გ. წულუკიძე და ალ. შარაშიძე.

**ლანჩხუთის წიგნის და კანცელარიის მაღაზია.**

აცნობებს ლანჩხუთის რაიონის მასწავლებლებს, რომ აქ დამზადებულია და იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო—სასწავლო ნივთები: **რვეულები, დლიური**, საუკეთესო **კალმები, მელანი, ქაღალდი** და სხვ. ამასთანავე აქვე იყიდება საუკეთესო ქართული და რუსული გაზეთები და ჟურნალები.

პატივისცემით კალანდაძე.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„იმერეთი“**

ქუთაისში

ამით აცხადებს ქართველ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ იგი შეუდგა გამოცემას ბ. იაკობ მანსვეტაშვილის საფასით მგოსან

**აკაკის** ნაწერების — მე-II-ე წიგნისას:

ძველი და ახალი ლექსები და პოემები ავტორისავე დროის შესაფერ განმარტებით. სხვათა შორის ამ წიგნში დაისტამბება აკაკის ახალი ისტორიული პოემა

**„ვორონცოვი და მისი დრო“**

სურათით.

ფასი ხელის მოწერით 50 კაპ., გამოცემის შემდეგ კი ეღირება 75 კაპ.

წიგნის დაკვეთა შეიძლება თვით გამოცემის ხელმძღვანელთან: 1. ქუთაისი—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 2. ბათომი—ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“. 3. სოხუმი—მასწავლებელ ნიკო ჯანაშიასთან. 4. ოზამჩირე—ნოტარიუს თეოფ. ხუსკივაძესთან. 5. ფოთი—იოსებ კოხრეიძესთან და სიმ. ორაგველიძესთან. 6 ახალსენაკი—წიგნის მაღაზია „სინათლეში“. 7. ზუგდიდი—აკაკის სახელობის ბიბლიოთეკაში. 8. ხონი—წ. კ. ს. ხონის განყოფ.—წიგნის მაღაზიაში. 9. ნოდალევი—მასწ. პეტრე ჯალაგანიძესთან. 10. ოზურგეთი—წიგნის მაღაზია მ. თალაკვაძისა. 11. ჩოხატ. წიგ. მაღ. ს. თავართქილაძისა და გ. თავდგირიძესთან 12. ლანჩხუთი—წიგნის მაღაზია ვ. კალანდაძისა. 13 სუფსა—ვარ. ჩხაიძესთან. 14. სამტრედია—წ. კ. გ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში და ბულალტერ გიორგი მუმლაძესთან. 15 დაიდაში—კოლა ალხაზიშვილთან. 16 ჭრებალო—სამკითხველოში. 17. წესი—სამკითხველოში ვანო ჭიჭინაძესთან. 1„. ონი—ივ. კერესელიძესთან. 19. ტყიბული — მ. კბილაძესთან. 20. ხრესილი— სამკითხველოში ვარ. ჩიჩუასთან. 21. კურსები—სამკითხველო 22. სიმონეთი—სამკითხველოში. 23. სვირი—სამკითხველოში. 24. ბაღდათი—სამკითხველოში. 25. დიმი—სამკითხველოში. 26. მუხიანა—სამკითხველოში. 27. ვგირიდა—ქ. შ. წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. 28. ჭიათურა—გაზეთ. აგენტთან ის. შილაკაძესთან. 29. ხაშური—(მიხაილოვოში) წიგ. მაღაზია—ი. ყაჭეიშვილთან. 30. გორი—„ქართლის“ რედაქციაში და წიგნის მაღაზიაში. 31. ბორჯომი—წ. განყოფილების. მდივანთან. 32. მცხეთა—1 კლასის ბუფეტში ვარლამ გეგეჭკორთან. 33 თფილისი—წ. კ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში, წიგნის მაღაზიებში: „ცოდნა“ და „ნოვაია რეჩში“. 34 განჯა—1-კლასის ბუფეტში და მემანქანე შალვა მამულაიშვილთან. 35. ერევანი—ქ-ნ. ელენე ვირსალაძესთან. 36. ბაქო—წ. კ. ს. განყოფილების მდივანთან. ქართულ შკოლაში. 37. კავკავი.—ქართულ შკოლაში ვარლამ ბურჯანაძესთან. 38. ალაგირი—ქართულ შკოლაში პ. მეტრეველთან. 39. პეტერბურგი—ა. არაბიძესთან (კ რავანნაი ა, № 2). 40. მოსკოვი—ვარ. ხუროძე და მირიან ბასილაიასთან (ნიკოლაევსკაია — № 21) 41. ოდესა —სტუდ. გრ. კვიცარიძესთან.

კანტორა „იმერეთის“ გამგე ისიდორე კვიცარიძე.

**გ. გორდაძის და ს. წერეთლის**

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

**ძმ. ე. და პ. სააკაშვილები**

**ქუთაისში.**

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რ კ ი ნ ე უ ლ ო ბ ი ს ს ა ვ ა ჭ რ ო

პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხრ-ღუმელების; მოწყობილობა, ლურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვა., სახელოსნო ხელსაწყობ, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ქეშტი“, სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობანი ყოველგვარი სალებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარები მოწყობილება- ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

ელექტრო-საბეჭდავი შრომა ... და ქარნაუხოვის, ქუთაისში.